

სპორტიელი

ეროვნული
ნიმუში

სპორტული გაზეთი ორშაბათი 11 სექტემბერი 2006 №209 (2831)

ფასი 50 თეთრი



მურამ დოლიძის ფოტოები

დაბვრჩა ერთი სუოი



შაბათს საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა ისლ ნდიას უმასპინძლა და სპორტის სასახლეში მისული ქომაგები, რომელთა შორის ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც იყო, არ გაანზილა.

გორდონ ჰერბერტის გუნდმა შორეულ კუნძულებს უპრობლემოდ აჯობა, მესამე თამაშში მესამე გამარჯვება მოიპოვა და ფინეთისკენ დაიძრა. ზეგვეროსაკვალიფიკაციო ეტაპის პირველი წრის მთავარი მატიჩია — საქართველოს ფინეთთან რევანში აქვს ასაღები.

რატომ სჯიან მსაჯები ფეხბურთს უყურებ და ფიქრობ: საეჭვო გაცნა თუ კვალიფიკაცია



შაბათს გლდანში: ამერელმა სულიყო დაეითაშვილმა (№7) „ბორჯომის“ არგენტინელ მეკარეს საერთაშორისო დონის გოლი გაუტანა



ფორმულა 1 და მრბოლი №1: შუახმრის სამტაპო განუორმებანი

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა მეფორმულემ მიხაელ შუახმრმა გუშინ თავისი ზღაპრული კარიერის დასრულება გვამცნო.

მონტაში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ „ფერარის“ გერმანელმა პილოტმა ოფიციალური განცხადება გააკეთა: „ეს განსაკუთრებული დღეა, ჩვენ მოვიგეთ რბოლა და ჩემპიონატში ვითარება „ფერარის“ სასარგებლოდ შემოვატრიალეთ, მაგრამ ახლა მინდა ვთქვა, თუ რა იქნება შემდგომში. წასვლის გადაწყვეტილება ორი თვის წინ, ინდიანაპოლისის შემდეგ მივიღე. ვწუხვარ, რომ ეს განცხადება აქამდე დაგვიანდა, თუმცა ვთვლიდი, რომ მონტა საამისოდ ოპტიმალური ვარიანტი იყო. გუნდთან ერთად გადავწყვიტე, რომ რბოლებს სეზონის ბოლოს დაეტოვებ. ამჟამად ჩემი უმთავრესი ამოცანა დარჩენილ სამ ეტაპზე ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაა“.

გაღარი კაითილანის ფოტო



ბორჯომში ქართველობა ეროვნული უმცირესობაა ჩვენს ფეხბურთში ნამუსიანი მსაჯობა ეროვნული დიფიციტია



გაბრიელ კატილაძის ფოტოები



გივი დიდავაძე (№27) პირველი ამერული გოლი გაიტანა

თბილისი. 9 სექტემბერი. 16.30. აშშ-ში. 900 მაყურებელი

ამერი 2:0 ბორჯომი

1:0 დიდავა (29), 2:0 დავითაშვილი (76)

ამერი: ქვაჩაზია, ელბაქიძე, დავითნიძე, ხვადაგია (დ. მჭედლიშვილი 82), დიდავა, დობროვოლსკი, დეკანოსიძე, ბოლქვაძე, დოლიძე (გ. ჯელაძე 57), ტატანაშვილი (სევასტოპოლო 78), ს. დავითაშვილი (სათადარიგონი ლ. ნადირაშვილი; გვაძაბია, სილაგავა, ჩიკვილაძე **მწვრთნელი:** გიორგი ჩხრაძე

ბორჯომი: ბაკორი, გომარო, დ. ნადირაშვილი (გ. მოდებაძე 14), ქარქუაშვილი, ბაქრაძე, ნინი, ავერსა, ბეღინი (კინაძე 77), შ. ჯიქია, კასტელი, ფრანკი (გოგინიაშვილი 84) **სათადარიგონი:** შყერილაძე, ლაზარაშვილი **მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე

გაწვრთნა: ბოლქვაძე (8), ავერსა (15), ნინი (18), გომარო (49), ქარქუაშვილი (72)

მსაჯები: ბ. დოგრაშვილი, ს. სპიციანი, თ. მოლოდინაშვილი, ზვ. ასკაროლი

დამკვირვებელი: მ. ჭელიძე, დემურბატი, შ. ბაქრაძე

კოპა ინსასარიძე

...ჯერ ის მოვევით, უდავო ფავორიტმა „ამერმა“ მეტოქე როგორ დაამარცხა და მერე იმ ამბებს გაცვით, რამაც მასპინძლები — ფეხბურთელებიც, ხელმძღვანელებიც და ქომაგებიც აღაშფოთა...

თბილისელებმა „ბორჯომი“ ულაპარაკოდ დაჯაბნეს და უფრო დიდი სხვაობითაც შეედლოთ მოგება. მასპინძელთა მეკარე, ფაქტობრივად, უსაქმოდ იყო — სტუმრებს ზურაბ ქვაჩაზია მანცდამანც არ შეუწუხებიათ, საპირისპირო კართან კი იმდენი და ისეთი რეალური საგოლე მომენტები შეიქმნა, ყველა რომ ჩამოვთვალთ, ძალიან შორს წავალთ. ისე კი, სტუმრები ახალწვეულ არგენტინელ მეკარე რომბერტო პაკორს უმადლოდნენ, ორადორი გოლით რომ გადარჩნენ.

გივი დიდავას პირველი ამერული გოლი ძალიან ლამაზი გამოდგა — თბილისელთა მცველმა საჯარიმოს კუთხის სიახლოვიდან დაარტყა პარტნიორის დაგორებული ბურთი

და შორეულ ცხრიანში ისე გაიტანა, მეკარეს მოგერიების შანსიც არ დაუტოვა.

მასპინძლებს საქმის ბოლომდე მოგვარება შესვენებამდეც შეეძლოთ, მაგრამ ბურთი მიზანში ვერა და ვერ მოარტყეს.

მეორე ტაიმში სტუმრები, რომლებმაც ერთბაშად შევიდნენ არგენტინელით დაიწყეს თამაში, შედარებით გააქტიურდნენ, თუმცა აშკარად იგრძნობოდა, რომ ფეხბურთელები მწვრთნელის დავალებას ვერ ასრულებდნენ — ენის პრობლემა ჰქონდათ. მწვრთნელმა არგენტინელებს ვერაფერი გააკვირვა: ვლადიმერ ხაჩიძემ ფეხბურთელებს ვერც უესტებით უთხრა სათქმელი. საკვირველია, როგორ ვერ გამონახა „ბორჯომმა“ თარჯიმანი, ვინც ხაჩიძის გვერდით იქნებოდა და მის მითითებებს ფეხბურთელებამდე მიიტანდა. ამიტომაც „ბორჯომს“ მთელი 90 წუთის განმავლობაში ზღვარგადასული უხეშობის გარდა თავი არაფრით გამოუჩენია. არბიტრ დოგრაშვილის სასტყენი კი ხმ-

ირ შემთხვევაში დუმდა, თითქოს არაფერი მომხდარაო. არადა, რამდენჯერმე ამერელები, მსუბუქ ტრავმას ვინ ჩივის, მოტეხილობასა და სხვა სერიოზულ გართულებებს ბედად გადაურჩნენ.

ჩვეულებრივ, ისეთ დარღვევებზე, როგორც ამ მატჩისას ბორჯომელთა მხრიდან იყო, არბიტრი ულაპარაკოდ ყვეთელ-წითელ ბარათებს აფრიალებს ხოლმე...

დოგრაშვილისთვის „ამერი“ — „ბორჯომის“ მატჩში არც ბოლო იმედის ჯარიმა იყო, არც გაშლილი ფეხებით მეტოქისთვის უკნიდან ჩარტყმა და არც ის განზრახ უხეშობა ფასობდა ყვეთელ ბარათად, რომელიც თბილისელებმა ბლომად იწვნიეს არგენტინელებისგან.

პაატა დოგრაშვილზე ამ თამაშით ვამბობთ, თორემ ზოგადად მისი კოლეგებიც რომ ძალიან, ძალიან ხშირად უპატიებელი და უხეში შეცდომებით მსაჯობენ, ახალი არავისთვის უნდა იყოს. აქ არ ვგულისხმობთ, მით უმეტეს, არ ვამტკიცებთ, რომ მსაჯები ვინმეს სასარგებლოდ განგებ ცდებიან, თუმცა არც ესაა გამორიცხული. ელემენტარულად, მათი კვალიფიკაცია საეჭვო და მთელი უბედურება ისაა, რომ ასეთი მსაჯობის განმკითხავი არავინ ჩანს.

ერთხელ და ორჯერ არ თქმულა, მსაჯთა კორპუსში კორუფცია მოიხსოვ. კეთილი და პატიოსანი, მართლაც ასე თუ არის, მაგრამ რად გინდა ეს, როცა არბიტრთა კვალიფიკაცია უმეტეს შემთხვევაში ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და ამას უკვე ყველა კარგად ხედავს. ხოლო როცა აუტანელ მსაჯობაზე ფედერაციიდან თუ პროფლიგიდან ადეკვატური რეაქცია არ

არის, ცხადია, ეს უამრავი ეჭვის საფუძველს იძლევა. და ვიდრე მართლაც დიდი სკანდალი ამტყდარა და მსაჯებსა თუ მათზე „მზრუნველთ“ სერიოზული პრობლემები არ შექმნიათ, ჯობს, საქმე ან კეთილსინდისიერად აკეთონ, ანაც, თუ ამას ვერ ახერხებენ, ქული დაიხურონ და სხვა საქმეს ეწიონ.

არაკვალიფიციური მსაჯობის თემა საერთოწერილო არ არის, სამსჯელო და სალაპარაკო მართლაც საკმაოდ დაგროვდა... იქამდე კი, რა-

დგანაც ეს ამბავი „ამერი“ — „ბორჯომის“ მატჩს მოჰყვა, ისიც ვთქვათ, რომ თბილისელების მეორე, სულიყო დავითაშვილი გოლი „ამერისთვის“ მეორასე იყო ოფიციალურ მატჩებში. დავითაშვილმა შორიდან მოჭრილი და მეტად ლამაზი დარტყმით გაიტანა...

„ამერი“ ჯერაც ქულადაუკარგავად ლიდერობს ეროვნულ ჩემპიონატს. თუმცა ასეთი მსაჯობის პირობებში, ქულებს ვინდა ჩივის, ალბათ ფეხბურთელებსაც დაკარგავს...



არგენტინული სარმა დავით ბოლქვაძეს

გაბრიელ კატილაძის ფოტოები



ინგლისი კრაიფტლიბა IV ტური

არსენალი 1:1 მიდლსბრო
0:1 მორისონი (22), 1:1 ანრი (67)
არსენალი: ლემანი, ტურე, ებუ, ჯუ...

მაგბარია, არა?!
ცუდი მოცემების ამბავი:
ვენბერს ხელს მოედანი უზღვის



მესამე გოლი „ლივერპულს“ კარში

მწვრთნელი: კრის კოულმენი
გაფრთხილება: ემრუ, ბრაუნი
მსაჯი: ფოი
50 365 მაყურებელი
მანჩესტერი 1:0 ტოტენჰემი
1:0 გიგზი (9)
მანჩესტერი: ვან დერ სარი, გ. ნევი...

ოთხ თამაშში
არტყა „ვევერტონის“ კარში, ძელიც
დაახანზარა, მაგრამ მშრალი სამი
ბურთით წააგო 204-ე მერსისაი-

არტყა „ვევერტონის“ კარში, ძელიც
დაახანზარა, მაგრამ მშრალი სამი
ბურთით წააგო 204-ე მერსისაი-

Table with 2 columns: Player Name and Statistics. Includes names like მანჩესტერი, პორტსმუთი, ვევერტონი, ჩელსი, ასტონ ვილა, ბოლტონი, ფულემი, ვესტ ჰემი, ლივერპული, სიტი, მიდლსბრო, რედინგი, უიგანი, ნიუკასლი, ტოტენჰემი, ჩარლტონი, არსენალი, შეფილდი, ბლექბერნი, უოლფორდი.

Table with 2 columns: Player Name and Statistics. Includes names like უოლტონი, ვესტ ჰემი, ბოლტონი, ჩარლტონი, არსენალი, შეფილდი, ბლექბერნი, უოლფორდი.

Table with 2 columns: Player Name and Statistics. Includes names like ბარსილი, პალი 2, ბარსილი, ქოვენორი, სანდერლენდი, ემპტონი, ლუტონი, ბლიმუთი, კარდიფი, უენსდი, ლედსი.

Table with 2 columns: Player Name and Statistics. Includes names like ბირმინგემი, ვულვზი, კარდიფი, ვესტ ბრომვიჩი, ნორვიჩი, კრ. პალასი, ლუთონი, ქოვენორი, პლიმუთი, პრესტონი, ბარსილი, ლედსი, ბარსილი, საუთჰემპტონი, სტოკი, იფსვიჩი, საუთენდი, ლესტერი, უენსდი, კოლჩესტერი, სანდერლენდი, ქუინს პარკი, დერბი, პალი.

Table with 2 columns: Player Name and Statistics. Includes names like ბრისტოლი, ბრისტოლი, ქროუ, კარლასი, ჩესტერფილდი, როტერჰემი, დინგა-სტერი, ჯილინგემი, ბრენტფორდი, მილუოლი, ბრაიტონი, ბლექჰემი, სანტოპრედი, ბრეფორდი, იოფლი, ნოტინგემი.

Table with 2 columns: Player Name and Statistics. Includes names like ბრისტოლი, ბრისტოლი, ბრისტოლი, ბრისტოლი, ბრისტოლი, ბრისტოლი, ბრისტოლი, ბრისტოლი.

Table with 2 columns: Player Name and Statistics. Includes names like ბრისტოლი, ბრისტოლი, ბრისტოლი, ბრისტოლი, ბრისტოლი, ბრისტოლი, ბრისტოლი, ბრისტოლი.

საქართველო პრიმერლიგის II ტური

პარსელონა 3:0 ოსასუნა
1:0, 2:0 ეტოი (2,27), 3:0 მესი (37)
პარსელონა: ვალდესი, მარკესი, სილვი...

საქართველო პრიმერლიგის II ტური

სოსნიადანი 1:3 სევილია
0:1 რენატო (7), 0:2, 0:3 კანუტი (75, 90), 1:3 დე სეროი (90)
სოსნიადანი: რიხეგო, ლაბაკა, ხუანი...



ნისტელრომ დაიწყო

რუსულ ვან ნისტელრონი
წუხელ პენალტი გააფუჭა. სხვა დროს ეგებ ამისთვის დაეძრახათ, მაგრამ რაკი ამავე მატჩში ხელობა გაიხსენა და სამი გოლი მაინც გაიტანა, აბა, ვინ რა უნდა უთხრას.

პოლანდიელის პეტი თრიქით და ანტონიო კასანოს გოლით „რეალმა“ „ლეკანტე“ დაამარცხა და რეპუტაცია გამოიკეთა: მოგეხსენებათ, პირველ ტურში „რეალმა“ ფრე ითამაშა და ქომაგობა განარისხა.

ვან ნისტელროის სამმა, რალა თქმა უნდა, დაჩრდილო კასანოს ერთი გოლი, მაგრამ ესეც კეთილად: 10 იანვრის მერე (რაც „რეალმა“ გადავიდა) იტალიელმა მხოლოდ მეორედ დალაშქრა მეტოქეთა კარი.

ხოლო „ლეკანტე“, რომელიც ახლა ცხრილის ფსკერზე და რომელსაც მადრიდელთა მწვერვალყოფილი ზუან რამონ ლოპეს კარო მეთაურობს, თამაში ცხრა კაცით ჩამთავრა.

საერთოდ კი, ლიდერ-აუტსაიდერებზე ლაპარაკი ნადრევია. შარშან ამ დროს „სელტა“ მიდიოდა რიხით, მაგრამ საბოლოოდ რას გახდა? მეორე მხრივ კი, წლეულს ორი ტურის მერე ის გუნდები მიდიან ქუელადუკარგავად, მათგან ბევრს რომ მოველით: უეფას და ჩემპიონთა თასების მომეგებები და „ვალენსია“. ერთი ბერძენი მუსტერის „ხეტაფეს“ დაწინაურება ალბათ დროებითი.

დროებითი უნდა იყოს „ოსასუნა-სანა“ ერთი ადგილის ტკეპნაც. პამპლონელებმა მეორე თამაშშიც წააგეს, მაგრამ რაკი ეს ამბავი „კამპ ნოუზე“ შეემთხვათ, ვასაკვირი ამბავი არაფერი უნდა იყოს.

ამ თამაშში ბარსელონელთაგან ორი გოლი გაიტანა საბოლოოდ, ვინაც კვლავ უმინებს ბომბარდირობას. კამერუნელს ახლა სამი გოლი აქვს და ტოლ-სწორად მიჰყვება ზემოთ ნახსენებ ვან ნისტელროის ეტოლო „ბარსას“ მესამე გოლშიც დაიდო წილი, როცა საგულე პასი მისცა მესისს.

ტურის მოულოდნელობა კი „ვილიარეალის“ სამხალი მარცხია. გუნდი, რომელსაც წინა ტურში „რეალმა“ „ბერნაბეუზე“ ვერ გაუტანა, უელვლს სანტი კასორლამ იმსხვერპლა მატჩის ბოლო წუთებზე. ეს კი ბედის ირონიაა: კასორლა ცოტა ხნის წინ

Table with 5 columns: Team, Goals, Assists, etc. Rows include Sevilla, Athletic, Valencia, etc.

Table with 2 columns: Player, Goals. Rows include 16-17 სექტემბერი, ვალენსია, რასიგანი, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include სოფიად მურსია, ალბასეტი, კადისი, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include ვილიარეალი, ალბასეტი, კადისი, etc.

„ვილიარეალის“ ფეხბურთელი იყო. „ატლეტიკოს“ და „ვალენსიას“ მატჩში ორი ფეხბურთელი გაუყენეს ნადრევად ვასანდელის „გზას, თამაში კი სტუმრებმა მოიგეს. აქვე ვარაუდი გამოეთქვათ, რომ „ატლეტიკოს“ მომდევნო ტურში ძალიან გაუჭირდება, რაკი ერთ-ერთი გაძევებული ფერწინდო ტორესი იყო. ხოლო ეს ფეხბურთელი ნახევარზე მეტი გუნდი რომ არის, ყველას მოეხსენება. ცხრილის კენწეროზე მყოფი „სევილიას“ გოლებიც ვასანდელის სან სებასტიანში პირველი გოლი რენატო მარტიმ გაიტანა კუთხურის გათამაშებით მეორე ფრედიერე კანუმ გაიტანა თავურით, ბოლოს კი ივი-ცა დრაგუტინოვიჩმა შეავლო 30 მეტრიდან. სოსიედადელმა ინაკი დიას დე სეროიმ ამის მერედა გაიტანა ვითომ პრესტიჟის გოლი.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include ივილიარეალი, ვასკონი, შარლერუა, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include გენტი, ანდერლესტი, ვესტერლო, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include II დივიზიონი, IV ტური, ტუბიე, ვარგემი, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include კორტუგალია, სუპერლიგა, II ტური, ავეში, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include II დივიზიონი, II ტური, მოსკოვი, ტროფენე, etc.

სარბიელი საქართველოში გაყვითი გამომცემი 1990 წლის 28 დეკემბერიდან

გამომცემელი ზურაბ ჯორჯაძე დირექტორი ბიძინა ლომიძე

სარბიელი საქართველოში გაყვითი გამომცემი 1990 წლის 28 დეკემბერიდან

გამომცემის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე მახარაძის გამზომი 42, II კორპუსი, IV სართული.